საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 155 დამატების № 6

პარასკევ, 29 ივლისს 1915 წ.

არწივი

მწვერვალთ მეფე, მძლე არწივი, მწველ თვალთაგან ცეცხლთ მკვესავი,
მზის სხივებში დასცურავდა სტიქიონთა ნათესავი.
მშვენიერი, დიდებული იყო მისი ცად ნავარდი,
თავისუფალს არ ზღუდავდა მიწის ფიქრი, მიწის დარდი.
მკერდით ჰპობდა ღრუბელთ ზვირთებს, ქარიშხალში ფრთებსა სცდიდა,
სფეროთ უკვდავ სიმფონიას ლაღის სულით განიცდიდა...
ზე არსთ ნათელ ყოფნისა და განცხრომისა სვამდა ნექტარს,
ყვავ-ყორნები შესცქეროდნენ შურით, მალალს, დიდს და ნეტარს...

* * * *

მიწის ნახვა მოისურვა და დაეშვა იგი წყნარად.
ქვეწარმავალთ მოევლინა ღვთის რისხვადა, გრგვინვა-ზარად!
შემოევლო მწვანე კორდსა, გადაჩრდილა მან კლდე სალი
და ჰე, ბუჩქთან, ლამაზ კაკაბს, კეკლუც კაკაბს, მოჰკრა თვალი!
ერთ წამს შმაგად დააშტერდა... შეიკუმშა.. ფრთა დაჰკეცა,
მოსწყდა ცასა, ჩამოვარდა, მეხივითა თავს დაეცა
შიშისაგან გაქვავებულს, მთრთოლვარესა, ცნობა მიხდილს..
ახ, კაკაბო, მშვენიერო, ვერ წაუხვალ, დუხჭირ, სიკვდილს?!
გამარჯვების ყივილითა თვისი მჭრელი კლანჭი გაჰკრა
და ნისკარტი ფოლადისა ასწია და... და არ დაჰკრა!..
მის ქვეშ თრთოდა, ფრთხიალებდა თვით სიტურფე უნაზესი,
თვით შვენება, თვალ წარმტაცი თვით შვენება ზესთა ზესი!
მძლეთა მეფე უცბად შეკრთა, შეუპოვარს ეცა ელდა,
გული ცივი, უდრეკელი აენთო და აუღელდა!
მოაცილა ბასრი კლანჭი, მიჯდა გვერდით ენებით მთვრალი:
სილამაზემ დაატყვევა, სილამაზემ მოსჭრა თვალი.

* * * *

შეფრთხიალდა... გონს მოვიდა, მოიბრუნა ტურფამ სული,
გაისწორა თვის ქათიბი დახატული, დაკაზმული,
ძლიერსა და საშინელსა კვლავ შეჰხედა შიშის თვალით
და დაიწვა მის თვალთაგან გამონაფეთქ ენების ალით!..
მიჰხვდა... იგრძნო თვისი ძალა... იძლია და თანაც სძლია!..
აკეკლუცდა, გაიფურჩქნა ვით მზის კოცნით შლილი ია.
არწივისა გარეშემო აგოგმანდა ტანის რხევით
ნაზ სხეულის სუნნელების სუნნელ ყვავილთ შორის კმევით.
ამღერდა და აცეკვავდა.. შეხტა, მკერდში ჩაეკონა...
მწვერვალთ მეფე, ბრძანებელი, კეკლუც კაკაბს დაემონა!..

* * * *

— სულის მნათო, ზე ავფრინდეთ, გრძნობაც ჩვენი გავიზემოთ,
იქ ღრუბლებში! სიყვარულის, ტრფობის სიტკბო იქ ვიგემოთ!..
იქ სადაცა არ მოგვწვდება ქვეყნის მტრობა, შურის წყრომა,
სად სუფევენ სიდიადე, სისპეტაკე და განცხრომა!..
იქ არწივნი დაგვხვდებიან თვის გმირულის ყივილითა,
ელვა ცისა გაგვიღიმებს ალისფერის ღიმილითა!
მაყრულს გვეტყვის რიხიანად მძლე მგოსანი—გრგვინვა ცისა!“—
— დიდებულო, შენსავითა მე არ ძალმიძს მაღლა ფრენა
სუსტი ფრთები მაქვს და მკერდი, სუსტი თვალი, სუსტი სმენა,
იქ წვიმა და ქარისაგან ეს ბუმბული მთლად დამცვივა
იქ სიმაღლე თავს ბრუს დამხვევს, იქ ღრუბლებში ალბად ცივა!
მძლეთა მძლეო, გულის მეფევ, დამიჯერე—აქ სჯობია!
არც მაღლაა, არც დაბლაა—მწვანე მთისა ფერდობია.
არ დაგვაზრობს აქ სიცივე. არ დაგვხრუკავს სხივი ცხელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავილებში გავიკეთოთ საქორწინო სარეცელი!
თავსა სრულად შემოგწირავ, გაგეშლები ფიანდაზად,
მაგ მწველ თვალებს, ელვა თვალებს, დაგიკოცნი ახ, რა ნაზად!
ნამდვილ ცასა დაგავიწყებ, სხვა ცას ჰპოვებ სიყვარულში.
და გონების ეჭვს დაგიცხრობ ლამაზ მკერდზედ ლამაზ რულში...

* * * *

დამორჩილდა!.. დარჩა იგი, დარჩა, რადგან შეუყვარდა.
დაავიწყდა ყველაფერი, ყოველივე ტურფას გარდა!
დარჩა იგი ტყვედ და მონად!—დრო ვიდოდა, დრო მიჰქროდა...
მოგოგმანე კაკბის უკან ღრუბელთ მეფე უშნოდ ხტოდა!
ვერ ისწავლა მან გოგმანი ვერცა ხერხით, ვერცა შრომით,
დაუკაწრა მთლად სხეული ბუჩქ-ეკლებში ხშირის ძრომით!
დაედუნდა მძლავრი ფრთები, საცოდავად გადუკეცდა,
მიწის ცქერით შორს მჭვრეტელი, მზე-თვალები დაუბეცდა!
დაავიწყდა ცის სიწყნარე, ცის ქუხილი, გაელვება!
კეკლუცი კი არ შორდება: ცეკვით, მღერით თავს ევლება.
დაარულა გმირის ნება, დაარულა მისი ცნობა—
ულმობელი მტარვალია სიყვარულის ჩვილი გრძნობა!.

* * * *

ერთხელ არწივს, ფიქრში წასულს, ჩამოესმა მაღლით ხმანი
შეკრთა, იცნო, დაკარგულსა ძმას იხმობდნენ არწივ-ძმანი!
„გმირთა გმირო, სად ხარ, სადა ცოცხალი ხარ შენ, თუ მკვდარი?!
ცა მიწისთვის ვით გასცვალე, განა არის შესადარი?
რა ჯადოთი, თილისმითა ხარ, უსწორო, მოხიბლული
ვინ გაჰგმირა დიდი გული, რათ გიჩრდილავს თვალებს რული?!..
გაიღვიძე, წინამძღოლო, გაძლიერდა ჩვენი მტერი!
ყვავ-ყორნების ურდო ჰფარავს ცასა ვითა შავი მტვერი!
მწვერვალების წართმევა სურთ და მოსპობა ჩვენი სრული,
გვეხვევიან გარსა უკვე და ჩხავილი ისმის კრული!“
მთამ ხმა მისცა მის ყივილსა, შიშის თრთოლა იწყო ბარმა!
ვით მქუხარე რისხვის ღმერთმა, საშინელმა და მგზნებარმა
აანათა თვალნი მაღლა.. ისკუპა და ფრთა გაშალა,
ჰაეროვან გემივითა გასცურდა და გაიშალა!..
მხნედ წავიდა, დიდებულად, განიერი წრის შემოვლით;
აგერ, ქვევით დარჩნენ მთები შემოსილნი მარად თოვლით...
ახლოვდება!. მაგრამ ეჰა, უცბად თავი ცუდად იგრძნო!
ატეხილ ქარს შეებრძოლა, ვერ გაუძლო და ფრთა იღრძო...
რა გემართვის, ჰე, არწივო, ულონობა ვინა გკადროს?!
რამ დასჩვარა შენი ფრთები?! მერე რა დროს, ვაი რა დროს!!

* * * *

მიხვდა ეხლა თვის შეცდომას... რომ უმუხთლა არწივთ ზნესა
იგრძნო თვისი უძლურება და აღმოჰდა გულით კვნესა!
— ახ, კაკაბო!.. მზე-მწვერვალნო!.. ცის სიზმარი სად გაჰფრინდა?!
არც გოგმანი, აღარც ფრენა.. მაშ სიცოცხლე რაღად მინდა!..
და ფოლადის ნისკარტითა მან გაიპო უცბად გული
და იქ... ღრუბელს და ლაჟვარდსა ჩააბარა დიდი სული!!..
გვამი კი ძირს ჩამოვარდა.. მთის ფერდობზედ... იქ, სადაცა
კეკლუც კაკაბს ბუდე ჰქონდა, დაავიწყდა სადაც მას ცა!
სტიქიონთ და არწივთ ქება მის მკვდარ სმენას ველარ მოჰსწვდა:
ქება ვნებულს, ქება არწივს, რომ არწივად იგი მოჰკვდა!

კ. მაყაშვილი.

* * *

ხალხის ვაებით დამძიმებულმა,
თავი მივეცი საყვარელ ტყესა;
და მის ფოთლებში შეფარებულმა,
ხელი მოვხვიე ხითხითით ხესა.

სამეფო მყუდრო და საოცნებო
ცრემლის ჩუხჩუხით ავახმაურე;
გული ვიოხე ტირილ-ვაგლახით
და ისევ უკან გამოვეშურე.

გოგია უიშვილი.

ᲖᲝᲠᲘᲓᲐᲜ

მოგესალმები გულ თბილათ,
ტკბილის ოცნება-გრძნობითა,
შენს უბე-კალთას ვემთხვევი
დაუშრეტელის ტრფობითა.
რაც გინდ მიამბოს ნიავმა,
დაბარებული მტრობითა,
წარბს ვერ შემიხრის სიმუხთლე
უისრო ენის გმობითა.
ბრძოლიდან მუდამ შენთან ვარ
ფიქრით, დღისით და ღამითა,
გულ-ნაისრალი მოვფრინავ
ხანდისხან ერთის წამითა.
მოვფრინავ, მატკბობ ალერსით
და სულს მიმშვიდებ ამითა,
წყლულებსაც მირჩენ, მისტუმრებ
ისევ უდროოს ჟამითა.
რა მომკლავს, შენი ჭირიმე,
ასეთ იმედის მქონესა:
შენ რომ მანდ მყევხარ უმწიკვლო,
მე აქა მმატებ ღონესა.
სალამი სხვათაც დიდებავ.
მუდამ თვალ მაისიანო,
კაი ვაჟკაცთა სახელო,
და ნათელ-გაისიანო!..

შიო მღვიმელი.

ᲐᲜᲐᲥᲠᲔᲝᲜᲘᲡ ᲝᲓᲔᲒᲘ

დასველებული ამური.

შუა ღამე გადავიდა. ცის მნათობთა გუნდი ჰკრთება.
ყველა ძილში თავს აყოლებს, არ დაგიდევს თუ რა ჰხდება.
მე კი ვშფოთავ. აგერ, მესმის, ვიღაც კარებს აკაკუნებს...
იდუმალი წინაგრძნობა ვაჟკაცს მშლის და მაძაბუნებს.
„ვინ ხარ ამ დროს?“—შევუძახე. ხმა გამომცა უცხო, მქრალი:
„აქ ბავშვია სველ სამოსით, უწყალოდ ხორც აგლეჯს ქარი.
გზა დაებნა. მთვარე არ სჩანს. ბნელს მოუცვამს არე-მარე.
შეიბრალე ღვთის ობოლი, ერთი ღამით მიიბარე“.
გული დამწვა. ვანთებ სანთელს. ვხედავ, მართლა ბავშვი არის.
მხრებთან აშლილ წყვილი ფრთის ქვეშ მოსჩანს წვერი შვილდ-ისარის.
ცეცხლთანა ვსვამ, ვათბობ, ვუვლი, თან ვიხუტებ, ვუფშვნეტ ხელებს.
ტკბილ ალერსით ვკოცნი შუბლზე და ვუსწორებ ხუჭუჭა თმებს.
ბოლოს ადგა: „ჰხედავ, მითხრა,—წვიმამ შვილდი დამისველა.
ცეცხლთან უნდა შევამშრალო, ეხლა სჭირსო სწრაფი შველა“.
სთქვა და შვილდი წამოჰზიდა. დასხლტა უცბად მას ისარი,
ვაჟკაცს მარჯვედ გამიგმირა იმ ცუღლუტმა გულფიცარი.
რაკი მნახა დაკოდილი, მოჰყვა ცეკვა და კიჟინსა,
ჩემი კვნესა მას ალხენდა და უკლავდა თრობით ჟინსა.
„მეგობარო,—მითხრა ბოლოს,—ეხლა თუ გსურს, ნუ მიმიღებ.
შენს უარსა არად ვიწყენ, არხეინად ვიღიღინებ.
შვილდი გაშრა. ახლა ღამეს სხვის ჭერ ქვეშა გავათენებ,
მაგრამ შენს გულს დაკოდილსა ნეტავ რითღა გაამრთელებ?“

Candide.

ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

წუთით მოვსულვარ მე ამა სოფლად და, ვით სიზმარი, გავქრები მალე;
მხოლოდ სამშობლოვ, ჩემო ხვთაებავ, არ დამივიწყო, შენ გენაცვალე!
ოდეს სიცოცხლის დღე გაგითენდეს, გაბრწყინდეს ცაზედ შენი ვარსკვლავი,—
მაშინ მონახე სადმე ხევ-ხევში თავ განწირულის ბნელი საფლავი!
და ეს სიტყვები გამარჯვებისა წყეულ სამარეს შიგ ჩამოსძახე:
ამირან გმირმა გაწყვიტა ჯაჭვი, მაგრამ, ვაი, რომ შენ ვერა ნახე!

ი. დაროშვილი.

ლეილ-მეჯნუნიანი

სპარსულიდან ნათარგმნი **მეფის თეიმურაზ** პირველის მიერ*)

II

მეჯნუნისა და ლეილის სასწავლოს მიბარება

14. შვიდისა წლისა შეიქნა; ალვის შტო ლამის ახევდეს.
მოლას მიგვარეს, შევედრეს, ტირილით სულთქმა-ახევდეს.
იკითხავს: „ვითარ ბულბული ჰსურის თუ ვარდსა ნახევდეს,
მელნის ტბა მათთვის სარჩობლად წამწამსა გრეხდეს, მახევდეს?“.

15. მათ მნათობთა ერთი იყო ნათესავი, თესლი, გვარი,
ახლო იყვნენ მეზობელნი ძმათა შვილნი განაყარი.
ლეილიცა მოიზარდა ალვა აღმა ანაყარი,
განგებითა იგიც იქმნა მას მოლასა მინაგვარი.

16. ბევრი იყო იგი მოლა ბრძენი ერთობ მონახული;
ორნივ ნახა, მოეწონა იგი ტურფად დასახული.
სთქვა: „ვინ ნახა მათებრ შვილნი დედის მუცელს ჩასახული!
აწ განათლდა სახლი ჩემი, დარბაზი და მერმე სული!

17. მიჯნუნი ყმასა დაარქვეს ვის სახელ იყო ყაისო;
სკოლაში ნახა თვისი მზე, გულსა ლახვარი დაისო!
ეტლსა ეტყოდის, ესე სჯობს ლეილი ზურგსა დაისო!
ჰფიცავდა: „არად სახმარ არს, ვარდსა ნუ გაშლი, მაისთ!“

18. აკითხევდა იგი მოლა ორთავეს თავაუღებლად;
ვინმცა მორჩის მათ ქალ-ვაჟთა მჭვრეტთა, ცნობა წაუღებლად!
ბრძოლის ველზედ შავი მშვილდი თვით გიშრობდა გარდუღებლად,
განანათლეს იგ სასწავლო არ მოღრუბლდეს გარდუღებლად!

19. ვარდსა გვერდით ჰყეფს ბულბული, იგი არე აუყრია,
ლეილისა სხივთ შუქთაგან დარსა ნისლი აუყრია,
თვალნი გიშრით მოუზღუდავს, წარბი აღმა აუყრია.
მას ციერნი არად უკვიოს, მნათობნიცა აუყრია.

(შემდეგი იქნება)

თამარის ჯვარი

(ჩვენი ძველი ცხოვრებიდან)

I

ქვეყანას შავი წყვდიადი დაჰპატრონებოდა. მაღლა—მთის წვერზე, კოპწია საყდარი დადუმებულიყო, დაბლა—მთის კალთაზე, მწვანე ქურქიან ტყეს ჩასძინებოდა.

მახლობელ ხევიდან ადამიანის აჩრდილი ამოიჭრა და ტევრში მიიმალა.

— ვაჲმე!—დაიყვირა ვიღამაც და სიჩუმე დაირღვა.

„ვაჲმე“-ს საზარელი ღრიალი მოჰყვა თანა და ტყემ განგაში ასტეხა. კლდე-ღრემ ბანი მისცა...

ღრიალი ხრიალად გადაიქცა და ტყემ ხმას დაუდაბლა.

ხრიალთან ერთად გულსაკლავი გმინვა გაისმა.

პატარახანს უკან ყველაფერი მიყუჩდა და ტყემ ისევ ძილს მისცა თავი...

II

შუაღამემ გადაიარა. მთიებმა შორს სადღაც ცისკარს თვალი შეასწრო, კანდელი დაუნთო, ცისკიდურის ნავთსაყუდელი დაანახვა და ჩაესვენა.

ბუნებამ გამოიღვიძა და დაფაცურდა, მგალობელთა გუნდნი აახმაურა. საყდრის პატარა ზარმა დაიწკარუნა და თავისი ხმა საერთო ბუნების ჰიმნს შეუერთა. ვარდისფერ სივრცეში ვარდისფერ ნავით ვარდისფერა მახარობელი გამოსრიალდა და ქვეყანას მნათობთა მეფის მოახლოვება ახარა. ცისკარი მიიმალა და მზის დიდებული ოქროს გვირგვინი გამოჩნდა. მნათობთა მეფემ უხვად მიმოაბნია სხივები და ბინდ-ბუნდის უკანასკნელი ნაშთები არარაობად აქცია, მიდამო ათასფერად ააყვავა.

მზის შუქი ტყეში მდებარე პატარა ველსაც მოეფინა. ახლოს უდარდელი წყარო ჟღმურტულებდა, დაინახა ბრწყინვალე მნათობი და გაუცინა. მწვანექოჩორა ხეებმა ცნობისმოყვარეობით გადახარეს წყაროსკენ თავები და პატარა ველზე ორი უცნაურად ჩახუტებული არსება დაინახეს: ადამიანს დათვი წაჰკიდებოდა, მწვანექოჩორეებს გული აუჩუყდათ და სიბრალულით თავები გააქნ-გამოაქნიეს.

III

— საცოდავი!—წამოიძახა წყაროზე მოსულმა ბერმა.—ნეტა რა აწყენინა ღმერთსა, რომ დათვის კერძი გამხდარა?

დათვს ადამიანისთვის მარცხენა ძუძუს ზევით ბასრი კბილები ჩაეყარა, ადამიანს კიდევ დათვისათვის მუცელში ხანჯალი გაეყარა და ორივე უძრავად ეყარნენ. მწვანე მოლის ხავერდი სისხლს შეეღება.

ბერმა ძლივს-ძლიობით გამოაცალა თათებიდან მკვდარ დათვსა ადამიანი.

— რა ჭაბუკი ყოფილა და!—სთქვა აღტაცებულმა.—ცოდო არ იყო ამის წახდენა?

ჭაბუკის სახეს მაღალი შუბლი ამშვენებდა. ვაჟკაცს მხარბეჭი ზღაპრულ გმირს მიუგავდა. ტანით ალვის ხეს შეედრებოდა.

ბერმა ცნობის მოყვარეობით დაუწყო სინჯვა; შუბლზედ ხელი გადაუსვა... სითბო იგრძნო.

— გულწასულია!—წამოიძახა აჩქარებით და წყაროს წყალი მოარბენინა.

განიერი მკერდი გაუშიშვლა, უნდოდა წყლულები მოებანა და განცვიფრებული გაჩერდა. ჭაბუკს უბეში ფასდაუდებელი ოქროს ჯვარი ედვა: ერთი ციდა სიგრძე ექნებოდა; სულ ძვირფასი თვალ-მარგალიტით იყო შემკული. ზურგზე მინანქრის ასოებით ხუცურად ასე ეწერა:

„ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯუარისაო, შენითა წინაძღომითა ყოვლად შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“.

ბერი დიდის მოწიწებით ემთხვია ჯვარსა და მოლზე დაასვენა.

— ზეციერო გამჩენო, შეუნდე დანაშაული!—შეჰღაღადა დღიურ ცხოვრებას განშორებულმა ადამიანმა და დათვისაგან დაღრღნილს ვაჟკაცს მიუტრიალდა, წყლულები მოჰბანა და შეუხვია.

ჭაბუკი ცივმა წყალმა მოასულიერა და ხელი უბისკენ გააქანა.

— ჯვარი?!—წამოიძახა მისუსტებულის ხმით.—სად არის ჯვარი?

— შვილო უფალმა დაგსაჯა.—შემოესმა პასუხად.—ჯვარი იმ ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს, საიდანაც შენ მოგიპარავს. შენ კი, შვილო, ზეციერს მადლობა შესწირე, რომ ცოცხალი გადაგარჩინა და დანაშაულის მონანიების შეძლება მოგცა.

ჭაბუკმა შუბლი შეიჭმუხნა, განრისხდა. ამ სიტყვებმა ისე ძლიერად ააღელვეს რომ ძალაგამოცლილმა ველარ შეიმაგრა თავი და გული ხელახლად წაუვიდა.

IV

როცა ჭაბუკმა თვალები გაახილა, თავისი თავი ბერის სავანეში დაინახა. სულის მამა დამხობილიყო ხატის წინ და ევედრებოდა.

— წყალი!—წამოიძახა გონს მოსულმა.

ბერმა ლოცვა გაათავა და ჭაბუკს მიუბრუნდა.

— ნუ გეშინიან, შვილო!—გაიგონა კიდევ ავადმყოფმა.—ეტყობა, უფალმა მოწყალე თვალით გადმოგხედა, რომ ცოცხალი ხარ. შეგიძლიან დანაშაული მოინანიო.

ჭაბუკმა უკმაყოფილოდ გაიქნია თავი და მისუსტებული ხმით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ დაიწყო ლაპარაკი.

— მაგას რას მეუბნები, მამაო?.. დიდებული მეფექალის ჯვარი მტერს გამოვგლიჯე... მტერი შემოგვესია, მამაო, მტერი!.. ურიცხვია!..

— მტერი?.. სად არის მეფე... ჯარი?..

— შემოიპარა... ანაზდეულად დაგვეცა... ჩვენი მხარე მთლად გააერანა... ხალხი ააწიოკა, მოსრა... საყდრები აიკლეს... დაანგრიეს... ოჰ, ზეციერო გამჩენო!... მეფემ არ იცის... აქეთ მეგულებოდა და გამოვეშურე.

— მართალია, აქეთ არის,—დაადასტურა ბერმა.—საზაფხულოდ ამობრძანდა.

— ჯვარი უნდა გადავცე.—სთქვა ჭაბუკმა.—ერთ დროს ღვთის სწორმა თამარმა მაგისი ძალით აუარებელი მტრის ლაშქარი დაამარცხა ჩვენ სოფლთან... ჩვენ საყდარში თურმე ღმერთს მადლობა შესწირა და ჯვარიც იქ დატოვა... ძლიერია... მაგრამ როგორც ეტყობა უფალს ხელი აუღია ჩვენზე... გზაში ცხენი მომიკვდა... დათვმა კიდევ ეს დღე დამაწია... სული მიგუბდება, მამაო, სული!.. წყალი...

ბერმა წყალი მიაწოდა.

— ნუ გეშინიან, შვილო!..

— მამაო, წადი მეფესთან!.. წადი, თორემ ქვეყანა დაიღუპება!.. ჯვარი გადაეცი.

ბერი შეყოყმანდა: მარტო იყო; მორჩილები სურსათისათვის სოფლად დაეგზავნა. ავადმყოფის თავის დანებება შეუძლებელი იყო.

ჭაბუკმა მოიგლიჯა დაწყლულებული მკერდიდან ფალას-ფულასი და დაიყვირა:

— ერთი ადამიანისთვის ქვეყნის დაღუპვა არ შეიძლება!.. მამაო, განთავისუფლებ!.. დეე მე მოვკვდე, შენ კი მეფესთან წადი!

— რას სჩადი, შე უბედურო? ეგ ხომ თავის მოკვლას უდრის!.. თავის მოკვლა ხომ დიდი ცოდვაა?.. ღმერთი არ გაპატიებს! ჯოჯოხეთის გენია არ აგცილდება!.. ილოცე, შვილო, ილოცე, რომ ზეციერმა გაპატიოს და სასუფეველი დაგიმკვიდროს! ილოცე!

— ჯვარი სად არის, მამაო, ჯვარი!—ავადმყოფი წამოჯდა და ხატისაკენ მიიხედა.

ჯვარს თვალი მოჰკრა, თავს ძალა დააატანა, წამოიჭრა ზეზე და ხატთან მიიჭრა, ჯვარის წინ მუხლებზე დაეცა და მუდარით შეჰხედა.

— ჯვარო პატიოსანო!.. ჯვარო ძლიერო!.. დეე მე ჯოჯოხეთი ნუ ამცილდება!.. მხოლოდ მშობელი ქვეყანა... ოღონდ მშობელი ქვეყანა...

ჭაბუკს სიტყვა პირში გაუწყდა, სისხლი წასკდა, პირქვე დაეცა და სული განუტევა.

გაოცებულმა სულის მამამ პირჯვარი გადიწერა.

V

კოპწია საყდრის გალავნის კარი გაიღო და სამგზავროდ გამზადებული, იარაღასხმული შუა ხნის მხედარი გამოვიდა. ტანზე აბჯარი ემოსა. ჩაფხუტი მოიხადა, პირჯვარი გადიწერა და ღამაზ მიდამოს თვალი გადაავლო: ეთხოვებოდა.

— ღმერთო, შეუნდე... ღმერთო, მეც შემინდე!.. სამშობლოს გულისათვის... მხოლოდ სამშობლოს გულისათვის!..—სთქვა მხედარმა და თავქვე დეეშვა. ეს ჩვენი სულის მამა იყო, უბეში თამარის ჯვარი ედვა და მეფისაკენ მიეშურებოდა.

ინ—ბანი.

წარსულ გრძელის სურათი

(გიორგი საკაძე)

გესმის დაფდაფის ხმა? ეს ჩვენი შვილები შემოვიდნენ: გაჰხედე, რა აუარებელი ჯარი მოაწყდა. აგერ, აღმოსავლეთიდან! აგერ, დასავლეთიდან... სამხრეთიდან... რამდენი იქმნება? ექვსი ათასი... შვიდი ათასი... ათი ათასი... საკმარისია! მტრის ჯარიც ეწყობა. უნდა გადასწყდეს სამშობლოს ბედი! გაუმარჯოს ქართველ მხედრობას...

— გაუმარჯოს გიორგი სარდალს!

ზურაბ, მე ამ მაღლობზე დავრჩები ჯერჯერობით, აქედგან წარვმართავ!..

— — — სიმამრო, ეხლა კი დრო არის ბრძანება გავსცე! ზაალ არაგველო! შენ პირველ რიგში ჩასდგები! მაჩაბელო, შენ მარცხნით! თუშო, შენ მტერს ბანაკში მიუხდები და ხელჩართულ ბრძოლას გაუმართავ! ტარია კახელო, და შენ, ნოდარ ქიზიყელო,

*) იხ. „საქართველოს“ დამატება № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრის ჯარს გაარღვევთ, ციხეს აიღებთ და ზედ საქართველოს დროშას ააფრიალებთ!

შენ გურულო! იმ მებრძოლს თავი მოსჭერ და აქ მომიტა! ქუთათელო, შენი ჯარი ადგილზე დარჩება შემდეგ მისაშველებლად... დაჰკარით დაფდაფს... სიმღერით მიდით მტერზე... იცოდეთ, სამშობლოსთვის ვიბრძვით — — — მხნედ! თამამად!

ოჰოჰოჰოჰო! როგორ თავგანწირვით იბრძვიან! არაგველო, წინ! ერისთავო, მარცხნით! ტარიავ, შენს ჯარს ქარი კვამლით ჰფარავს, გეზი შესცვალე! შე—მო—უარე! დაჰკა! ეს ვინ არის, აქეთ რომ მოჰქრის?

— ქართველი მთხრობელი, ჩვენო სარდალო!

— მიამბე! გისმენ!

— დიდებულო მხედართმთავარო! ზაალ არაგველი და მეგრელთა სარდალი გასაჭირშია... მტერმა აუარებელი მებრძოლი დაუხოცა. თვითონ რავდენიმე მებრძოლით დარჩა, საცაა ტყვედ შეიპყრობენ.

— ცოცხალი არ დაჰნებდეს! შენ ვისი მთხრობელი ხარ?

— მე გახლავარ ტარია კახელის და ნოდარ ქიზიყელის.

— რას მეტყვი?

— ვმარცხდებით; ჩვენი ჯარი აირიეგდაირია! ტარია მოჰკლეს, მხოლოდ ნოდარი იბრძვის ოციოდ ქიზიყელით, საჭიროა ჯარის მოშველება...

— ქუთათელი მიეშველოს!

— მე გახლავარ შალვა გურიელის მთხრობელი...

— რას იტყვი? თუ სასიხარულოს, ჩემს საცხოვრებელს არ დავიშურებ!

— აუარებელი ვიმსხვერპლეთ, მტრის ჯარის მარცხენა წვერი მოვსწყვიტეთ, ის კი იყო ციხეს ვიღებდით, რომ ამ დროს, მტერს სხვა დასვენებული ლაშქარი მოეშველა. შალვა გურიელი დამარცხდა, თვით ტყვედ იქმნა შეპყრობილი!

— ქუთათელო, მიეშველე! შალვა ტყვეობიდან იხსენ... ბედი გვღალატობს... ეს ქარი რაღა ჩვენ გვაყრის თოფის ბოლს. იქ რაღა ჰხდება... ქუთათელი მხნედ იბრძვის... ეს ცეცხლის ალი საიდან უწევს? ჰაერი ცეცხლად გარდაიქცა. ეს მხედრობა ვისის მეთაურობით იბრძვის? მხნედ მეგობარნო! მხნედ მებრძოლნო... ქართველ მაჰმადიანებს უყურე... ციხეს გარს ეხვევიან... მხნედ! მხნედ... მხნედ მამულიშვილნო! ქართველებო! თქვენმა მარჯვენამ უნდა გადასწყვიტოს სამშობლოს მომავალი ბედიღბალი. გახსოვდეთ მამული, ცოლშვილი, ბინა, კერა·—რაო? ვინ იძახის... ვისი ხმა ისმის, საზარელი?

— ქართველი მხედრობა დამარცხდა!..

— დამარცხდა? წყეულიმც იყოს ეს ხმა ბედითი! მტერმა გაიმარჯვა. გასწყდა ბრძოლაში ქართველობა? ვაი, ჩემო დიდებულო ლაშქარო! ვაი ჩემო მხედრობავ! ეს რა ამბავია? რა აურზაურია? გადარჩენილმა ქართველობამ მტერს ზურგი უჩვენა? ნუ თუ ეს ქართველობაა, ფარასავით არეული უკან რომ გამორბის? ვაი სირცხვილო!

— შესდექით!

მტერს ზურგი შეაქციეთ? ბრძოლას გაექეცით? არა სჯობია სახელოვნად ბრძოლაში დაიხოცნეთ, ვიდრე შერცხვენილნი სახლში დაჰბრუნდეთ? დედამ რად გაწოვათ ძუძუ, თუ დედის შემაგინებელს შურის ძიებას არ მიაგებთ? შერცხვენილნი? რა პირით უნდა ეამბოროთ თქვენს მიჯნურს? თქვენს სიცოცხლეზე იყოს დამოკიდებული სამშობლოს კეთილდღეობა და ეს სიცოცხლე არ გასწიროთ? რა სთქვას შთამომავლობამ? რა პირით შეჰხვდეთ ჩვენს წინაპრებს?

შესდექით! მიმეცით ჩემი მუზარადი! ჩემი მუზარადი! ზურაბ ჩემთან! მეომარნო! ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენი დახოცილი მეგობარნი შურისძიებად მოგიწოდებენ!

ნუ დაგავიწყდებათ, რომ მრავალ დაჭრილთა კვნესა და გმინვა შურისძიებად გამხნევებთ!

ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენს ფიცს ჰღალატობთ და უკან გარბიხართ!

ნუ დაგავიწყდებათ თქვენი სამშობლო, თქვენი ოჯახი, თქვენი შვილები, შვილიშვლები კვლავ მონებად რჩებიან!

ნუ დაგავიწყდებათ ანდერძი წინაპრებისა!

შესდექით! დროშა დაიბრუნეთ! დროშა!

სად მისდიხართ შერცხვენილნი? სად გინდათ დღე დაიღამოთ. სად გინდათ მოსვენება ჰპოვოთ?

თქვენი სახლკარი დანგრეულია!

თქვენი ნათესი განადგურებულია!

თქვენი სარჩო ცეცხლმა გადაბუგა.

ვის უნდა გაუნდოთ თქვენი საიდუმლო? ან ვინ უნდა შეგიხვიოთ ჭრილობა?

დედა თქვენი მტერმა წაგართვათ და მხევლად დაისვა!

დაი თქვენი გაუპატიურებული მოგიკლეს.

ძმა თქვენი სახრჩობელაზე აიყვანეს!

მოხუცი მამა აწამეს და ცოცხლად სამარეში დამარხეს.

ოჯახი თქვენი აწიოკებულია.

ნათესავნი თქვენნი გადასახლებულნი.

მეგობარი თქვენი დატყვევებული... სად მიხვალთ?

შესდექით!

ხალხო! თქვენ უნდა იცოდეთ, რომ არა სხვის დასაჩაგვრელად იბრძვით, არამედ თვით თქვენი თავის მონობიდგან დასახსნელად.

თქვენი სისხლი იღვრება არა იმისთვის, სხვა დასჩაგროთ, არამედ თვით განთავისუფლდეთ.

თქვენი გამარჯვება იქნება არა სხვის დამონება, არამედ სხვასთან ადამიანურად გათანასწორება.

თქვენ იბრძვით ადამიანობისთვის.

თქვენი ბრძოლა სამართლიანია, მაშ ვინ შეგინდოთ, რომ ბრძოლის ველი მიგიტოვებიათ?

შესდექით!

შესდგა დამფრთხალი ჯარი... გონს მოვიდა. მტერს შეუტია! გაიმართა ბრძოლა, ბრძოლა მედგარი, ხელჩართული. იღვრება სისხლი... პრიალებს მახვილი. გრიალებს თოფ-ზარბაზანი, სრიალებს შუბი...

ზურაბ, ეს შავად ღრუბელი გამოჩნდა იმ მთის ფერდობზე?

— არა, მტრის ჯარია. ქართველობას აწვება!

— ახალი ჯარი? ჩასაფრებული ჯარალიათ... მოიქანცა ჩვენი ხელმწიფეთ... ხსნა აღარსაით არის... დაეცა სამუდამოდ მამული... ვაი თავო, ვაი დაღუპვილო მამალო! ტკბილო იმედო, ჩემო სამშობლოვ... რატომ განგება მაინც არ გადმოგხედავს?? განგება! განგება?

— გიორგი, თავს უშველე. მტრის სარდალმა შენი თავი მთელს სამთავროდ შეაფასა... აჰა ცხენი, თავს უშველე.

— ლაჩარო, გაქცევას მირჩევ! მეც ჩემ მხედრობასთან უნდა დავემხო... მოკვდი, ვიდრე ზურგს უჩვენებდე... თვით შევემბები იმ სარდალს!

— შიკრიკი მოჰქრის!

— ვიცი რასაც მეტყვის... ჩვენო დიდებულო სარდალო, დამარცხდა ქართველობაო! რის დიდებული, რა დიდებული! მე დიდებული ვიყავ ჩემის დიდებულის ლაშქრით, ჩემის მამულით.. ქართველობა დამარცხდა. სჩანს, მამაპაპური სული თან არ გამოგვყოლია.

— მხსნელი მოდის!

— მხსნელი მოდის? რაო, ეს რა ტკბილი ხმა ისმის? რა ყიჟინაა? ზურაბ, ეს რა ხმები ისმის?

—გიორგი, სასწაული ხდება! გაჰხედე აღმოსავლეთით, მეორე მზე ამოდის. მე მეგონა ქართველობას მეტი ჯარი აღარ ჰყავს მეთქი, მაგრამ გაჰხედე ის მინდორი თუშ-ფშავ ხევსურებით მოფენილა. მათი სარდალი, როგორც ძუ ვეფხვი, ისე მოჰქრის თეთრ მერანზე... მღერიან „მუმლი მუხას“ მათი სარდალი შენი შვილია! იძახის: მედგრად ფშავნო, მედგრად ხევსურნო, მამულისთვის იბრძვითო!

— ჩემი შვილი! ჯარს წინამძღვრობს... თვით იბრძვის... აბა, მასთან, მამას ეშველება! აგერ, მოუწოდებს: ივერიელნო, ეს ბაირაღი თქვენს წინაპრებს გადმოუციათ. ამ ბაირაღს დიდი წარსული აქვს. იგი ბევრჯელ შესვრილა სისხლით, მაგრამ მაინც თამამად აფრიალებულა და ქართველ ხალხისთვის გამარჯვება და თავისუფლება უცნობებია. წინ! მედგრად! იბრძვიან თუშები... ხევსურნი... აგერ მოხევენი როგორ ვეფხვებივით გადაეფინენ. აბა ჩავერიოთ! ჰაუ თამამად!

სანდრო შანშიაშვილი.



პ. მირიანაშვილი. ამ ერთი ბეწო ადგილზე რა პანთეონი უნდა აშენდეს!

შემოდგომა და ჩვენი გლეხი.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.

რედაქტორ გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**